საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-271

26/03/2019

ქ. თბილისი

**ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ორჯაჭვა 220კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „წყალტუბო-ნამახვანი-ტვიში-ლაჯანურის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-28 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ორჯაჭვა 220 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „წყალტუბო-ნამახვანი-ტვიში-ლაჯანურის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N20 12.02.2019წ;

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N20 12.02.2019წ. შესაბამისად;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ლევან დავითაშვილი

მინისტრი